პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 აპრილი, შაბათი, 1989 წ. № 83 (10 002) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გაზეთის დაბეჭდვის წინ

„დინამოსა“ და „სპარტაკის“ მატჩის თაობაზე

29 აპრილს, როგორც გამოცხადებული იყო, მოსკოვში უნდა შემდგარიყო სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მეოთხედფინალური მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის. გუშინ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, რომ მატჩი გადაიდო და იგი გაიმართება 17 მაისს თბილისში.

დაწვრილებით ამის თაობაზე „დინამოს“ გუნდის უფროსთან ვ. გუცაევთან საუბარს „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

* * *

როგორც ადრე გაუწყეთ, ტოკიოში დანიშნული იყო ოლიმპიური ჩემპიონის გორელ შოთა ჩოჩიშვილისა და იაპონელი პროფესიონალი მოკიდავის ანტონიო ინოკის შერკინება. ტოკიოდან მიღებული ცნობით ეს სენსაციური შეხვედრა ქართველმა ფალავანმა მოიგო.

* * *

ორსაათიანი დისკუსიისა და ვიდეოჩანაწერის გასინჯვის შემდეგ სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე ხმების უმრავლესობით სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონის ტიტული მიაკუთვნა კიევის „ბუდიველნიკს“.

საქართველოს ბიბლიოთეკა

ლიდერა ერწყვნილი ბიბლიოთეკა განმტკიცა

მოჰადრაკე ვაჟთა 49-ე რეპუბლიკურ ჩემპიონატზე კიდევ ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველ ტურში ყაიმით დამთავრებული პარტიის შემდეგ ყველა უდანაკარგოდ მიიწევს წინ შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გია ბალათუროვი. V და VI ტურებში მან ქეთევან არახამია და თემურ ვალიევი დამარცხა ახლა ბალათუროვს 5,5 ქულა აქვს და მთელი ქულანახევრით უსწრებს უახლოეს მდევრებს. იგორ ეფიმოვსა და ბესიკ ხეცურიანს. ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია საერთაშორისო დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ. როგორც ჩანს, არც დიდოსტატი ქალისთვისაა იოლი რანგით დაბლა მდგომ ვაჟებთან ბრძოლა. ამ აზრს საერთაშორისო ოსტატ ციალა ქასოშვილის ერთობ მოკრძალებული შედეგებიც ადასტურებს.

V და VI ტურების შეხვედრები ასე დამთავრდა — **V ტური:** ტაბატაძე — ლობჟანიძე 1:0, იაშვილი — ეფიმოვი 0:1, არახამია — ბალათუროვი 0:1, ვალიევი — ხეცურიანი 0,5:0,5, მანანგაძე — სიჭინავა 0:1. დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადაიდო ქასოშვილ-სუპატაშვილის პარტია; **VI ტური:** ხეცურიანი — მანანგაძე 0,5:0,5, ბალათუროვი — ვალიევი 1:0, ეფიმოვი — არახამია 1:0, სუპატაშვილი — იაშვილი 1:0, ტაბატაძე — ქასოშვილი — 0,5:0,5. გადაიდო ლობჟანიძე-სიჭინავას პარტია.

დაწინაურებული სამეულის შემდეგ მოდიან თამაზ ტაბატაძე 3,5 ქულა, ხვიჩა სუპატაშვილი 2,5(1), ქეთევან არახამია, ნუკრი მანანგაძე — 2,5-2,5, რომან სიჭინავა, დავით ლობჟანიძე — 2-2 (1-1), ბაკარ იაშვილი, თემურ ვალიევი — 2-2. ციალა ქასოშვილი 1,5-1,5.

ბოლო ტურმა გადანყვიტა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა დედაქალაქის პირველობა „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთიანი პარტიები). შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, 48 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის ერთი საერთაშორისო ოსტატი იყო (თამარ ხუგაშვილი), დანარჩენები კი — ოსტატობის კანდიდატები.

ტურნირი ძალზე საინტერესო გამოდგა. ლიდერთა ჯგუფი ყოველი ტურის შემდეგ იცვლებოდა და ჩემპიონი მხოლოდ ბოლო ტურში გამოვლინდა, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ ოსტატობის კანდიდატები იანის პოპოვი და პაატა მესტვირიშვილი. პარტია პოპოვმ მოიგო და 7,5 ქულით I ადგილი დაიკავა. მესტვირიშვილმა კი 7 ქულით II-III ადგილები გაიყო ოსტატობის კანდიდატ იური ნეჩაევთან ერთად.

დიდ ვირტუოზებით

ბორის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პირველობა 64-უჯრედიან შაში ქალთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 უძლიერესი მოშაშე. პირველივე ტურებიდან გამოიკვეთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა შორის უკომპრომისო ბრძოლა გაიმართა. ესენი იყვნენ: საქართველოს ექსჩემპიონები — თბილისელები ნატო აგლაძე, ლალი ჩომახიძე, ელენე ტატიშვილი და სამტრედიელი ლია ღირდალაძე. საბოლოოდ ყველას აჯობა ოსტატობის კანდიდატმა ლალი ჩომახიძემ, მან 12,5 ქულა მოაგროვა და მთელი ქულანახევრით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ლია ღირდალაძეს. 10,5 ქულით მესამე შედეგი ელენე ტატიშვილს ერგო.

როლანდ ქერდოყოშვილი,
ოსტატი;
ილია თევდორაშვილი,
„ლელოს“ საკ. კორ.

სსრ კავშირის თასის გათამაშება მშვილდოსნობაში

16 წლის თბილისელი გოგონას ნარმატება

სოხუმი. აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება მშვილდოსნობაში.

ქალთა შორის საპატიო ჯილდო მოიპოვა კიზილის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, 20 წლის ელენა ტუტატჩიკოვამ, რომელმაც „დიდი წრის“ ფინალში 36 გასროლით 335 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე თანაბარი ქულებით (331-331) გავიდნენ მახაჩყალელი მახლუბანიმ მურზაევა და ჩერნოვცელი ტატიანა მუნტიანი. დამატებით სერიაში მახაჩყალელმა უკეთ ისროლა და მეორე ადგილიც მას დარჩა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მოზრდილთა შეჯიბრებაში პირველად გამოვიდა 16 წლის თბილისელი გოგონა ნატო ნასარიძე, რომელმაც საკმაო წარმატებით იასპარეზა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ვაჟთა ტურნირში სსრ კავშირის თასი მეექვსედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა და სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, 30 წლის ჩიტელმა მშვილდოსანმა ვლადიმერ ეშეევმა, რომელსაც 36 გასროლით 335 ქულა აღმოაჩნდა. მეორე ადგილი ხვდა ხაბაროვსკელ გენადი მიტროფანოვს (331 ქულა), მესამე — ლვოველ ოლეგ სოროკს (325 ქულა).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფუალხურთში

ორი ვაკანსია და ოთხი პრეტენდენტი

მოსკოვი. სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ საცურაო აუზში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური რვა უძლიერეს კოლექტივს შორის, რომელმაც საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა კვარტეტი უნდა გამოავლინოს. ვინაიდან გუნდებს გათამაშების მომდევნო ეტაპზე უკვე დაგროვილი ქულებიც გაყვებათ, ყოველი მატჩის შედეგი, ბუნებრივია, საგანგებო მნიშვნელობას იძენს.

გთავაზობთ 26 და 27 აპრილს გამართულ შეხვედრათა შედეგებს: ცსკ ვმფ — „დინამო“ (ალმა-ათა) 10:5 (3:2, 2:0, 2:2, 3:1), „დინამო“ (ლვოვი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 8:11 (5:1, 2:5, 0:2, 1:3), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 9:10 (2:1, 4:4, 2:3, 1:2), „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 12:3 (3:0, 3:0, 3:2, 3:1).

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 8:3 (1:0, 1:1, 2:1, 4:1), ცსკ ვმფ — „დინამო“ (თბილისი) 12:4 (3:1, 2:1, 3:0, 4:2), „დინამო“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 14:11 (3:2, 4:2, 4:3, 3:4); უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 9:13 (3:3, 4:3, 1:3, 1:4).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აპრილისთვის					
„დინამო“ (მ.)	16	13	2	1	28
ცსკ ვმფ	16	11	2	3	24
„დინამო“ (ლ.)	16	8	3	5	19
„დინამო“ (თბ.)	16	8	3	5	19
უნივერ. (მ.)	16	8	2	6	18
„დინ.“ (ალმა-ათა)	16	8	2	6	18
„დინამო“ (კ.)	16	5	4	7	14
„ტორპედო“ (მ.)	16	3	4	9	10

როგორც ხედავთ, ფინალისტთა ოთხეულში თამაში უკვე განაღდებული აქვთ მოსკოვის „დინამოს“ და ცსკ ვმფ-ს. დარჩენილ ორ ვაკანსიაზე პრეტენზიას ოთხი გუნდი აცხადებს და მათ შორის თბილისის „დინამო“. ყველაფერი გაირკვევა ბოლო ორ მატჩში, რომელშიც ჩვენი წყალბურთელები მოსკოვის უნივერსიტეტსა და „ტორპედოს“ უნდა შეხვდნენ.

ფინალისტთა ოთხეულები

სტოკჰოლმი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ფინალური მატჩები დაიწყო.

I-IV ადგილები. სსრ კავშირი ჩეხოსლოვაკია 1:0 (0:0, 0:0, 1:0), კანადა — შვეიცია 6:3 (2:1, 2:2, 1:0).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აპრილისთვის						
კანადა	1	1	0	0	5-3	2
სსრ კავშირი	1	1	0	0	1-0	2
ჩეხოსლოვაკია	1	0	0	1	0-1	0
შვეიცია	1	0	0	1	3-5	0

V-VIII ადგილები. ფინეთი — გფრ 3:1, აშშ — პოლონეთი 11:2.

გათამაშების ცხრილი

ფინეთი	8	3	1	4	25-25	7
აშშ	8	3	1	4	31-31	7
პოლონეთი	8	1	0	7	2-70	2
გფრ	8	0	2	6	17-37	2

ბომბარდირთა სიას კვლავ სათავეში უდგას კანადელი ფორვარდი ბრაიან ბელოუზი — 13 ქულა (6 შაიბა და 7 საგოლე გადაცემა). მომდევნო ადგილებზე არიან: შვედი კენტ ნილსონი — 13 ქულა (3 პლიუს 10), ჩეხი ვლადიმერ რუჟიჩა და სსრ კავშირის წარმომადგენელი კიაჩესლავ ბიკოვი — 11:11 ქულა (6 პლიუს 5 თითოეულს).



ტელეტაიპი — ეკითხეველი

მოსკოვი. ოლიმპიადა — ჩემპიონმა, 21 წლის კიეველმა ველოსიპედისტმა ალექსანდრე კირიჩენკომ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1000 მეტრზე გიტში (სვლით) — 57,260. ძველი რეკორდიც (57,784) მას ეკუთვნოდა და შარშან იქტომბერს მოსკოვში იყო დამყარებული.

სარაევო. აქ მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებმა (ს. პიქიანოვმა, ა. მელენტიევმა, ს. ბარმინმა) მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა პისტოლეტის სროლაში — 1748 ქულა.





ოლიმპიური სტატუსით

თბილისი სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კომპლექსურ სპორტულ სკოლაში (დირექტორი ელდარ ფარჯანაძე) კულტივირებულია თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო (ჭაბუკები და გოგონები), მშვილდოსნობა, ძალოსნობა. აქ ოსტატობას იმაღლებენ 1971-1976 წლებში დაბადებული ნორჩი სპორტსმენები.

სკოლას წლების მანძილზე საკმაოდ კარგი წარმატებები აქვს მოპოვებული. ასე მაგალითად, სკოლის აღსაზრდელებმა კლასიკური სტილის მოჭიდაეთა შარშანდელ საკავშირო პირველობაზე ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს: ჯონი ხუბაშვილმა II ადგილი დაიკავა 90 კგ წონით კატეგორიაში, ტარიელ შავაქმ კი III ადგილი ახალგაზრდებს შორის (52 კგ. წონა). ორთავე მოჭიდავეს ავარჯიშებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი თამაზ კიკნაძე. მას ჰყავს აღზრდილი რესპუბლიკური თუ საკავშირო შეჯიბრების კიდევ რამდენიმე პრიზიორი. ესენია ლევან შალაძე, ზურაბ კურდღელაშვილი და სხვები. ამ დღეებში მოსკოვში გამართულ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული ნაიბი დვალაძეც ამ სკოლის აღზრდილია და მწვრთნელ თამაზ კიკნაძესთან მეცადინეობს. სხვათა შორის, მოსკოვის ტურნირში III საპრიზო ადგილი ჯონი ხუბაშვილმა დაიკავა.

თავისუფალ ჭიდაობაში ნაყოფიერად მუშაობს სკოლის უფროსი მწვრთნელი ვასილ ვალიშვილი. შარშანწინ მისი აღსაზრდელები ავსტრიაში იმყოფებოდნენ სტუმრად და იქაც გამოიჩინეს თავი. იგივე შეიძლება ითქვას ძიუდოისტებზე, რომელთა მუშაობას უნარიანად ხელმძღვანელობს მწვრთნელი გია ჩიტაშვილი. ამ დღეებში სკოლის აღსაზრდელები უნგრეთში მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

სკოლას სპორტის სხვა სახეობებშიც აქვს მოპოვებული წარმატებები, მაგრამ ჭიდაობის სახეობებზე საგანგებოდ იმიტომ შევჩერდით, რომ ამ დღეებში მას ოლიმპიური სტატუსი მიენიჭა.

როგორც ელდარ ფარჯანაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, ადრე ასეთი სტატუსი ძალოსნებსაც ჰქონდათ.

ჩვენთან,—თქვა მან,—ძალოსნობის რესპუბლიკური ცენტრი იყო და შედეგებიც, ცხადია, კარგი გვქონდა. მაგრამ გაიხსნა ძალოსნობის სპეციალიზებული სკოლა და მწვრთნელ-სპორტსმენთა დიდი ნაწილი, ბუნებრივია, იქ გადავიდა. ამიტომ ოლიმპიური სტატუსი ძალოსნობას ჩვენთან მოეხსნა.

ოლიმპიურ სტატუსს სპორტსკოლას შედეგების მიხედვით ანიჭებენ, თბილისის ოლიმპიური რეზერვის კომპლექსურ სპორტსკოლას კი შედეგები, მოგეხსენებათ, მისაბაძი აქვს, ამდენად მისთვის საპატიო სტატუსი არ იყო მოულოდნელი.

პაგრამ ასეთ პატივსა და ნდობას, ცხადია, გამართლება სჭირდება. სპორტსკოლის დირექტორი დარწმუნებულია, რომ სკოლის კოლექტივი ნდობას გაამართლებს.

სურათებზე: ჩვეულებრივი „ამუშაო დღე“ სპორტსკოლაში.

ერისკაცის არდავიწყება

მისი სახელი, ისევე, როგორც წარსულში ჩვენს სფეროში მოღვაწე სხვა ერისკაცებისა, რაც დრო გადიხ, სულ უფრო ძვირფასი ხდება. მხოლოდ სიცოცხლეში გაწეული ღვაწლი როდი გვაქვს მხედველობაში. გიორგი მერკვილაძე ყოველთვის დროს უსწრებდა. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში იგი ყველას უმტკიცებდა, რომ ბავშვთა სპორტისა და, საერთოდ, სპორტის მომავალი მოზარდთა სპორტულ სკოლებს ეკუთვნისო და აკი გამართლდა კიდეც მისი წინასწარმეტყველება. ჯერ თბილისში, შემდეგ მოსკოვში, მერე ქვეყნის სხვა ქალაქებში გაჩნდა სპორტული სკოლები, რომლებითაც ახლა მთელი ქვეყანაა მოფენილი. სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატიც მისი წინადადებით შეიქმნა, თუნდაც ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური შეჯიბრებები გავიხსენოთ. ყველას ვერ ჩამოთვლი.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ბევრს აკეთებდა, რომ ამაღლებულიყო ფიზიკური კულტურის, როგორც მნიშვნელოვანი საგნის ავტორიტეტი, ოცნებობდა იმ დღეზე, როცა უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებისას ანგარიშს გაუწევდნენ აბიტურიენტთა ფიზიკურ მომზადებას. დღეს ამ ამაგდარი კაცის ეს ოცნებაც რეალობად იქცა. მისი უკანასკნელი საზრუნავი იყო ქართული სპორტული ტერმინოლოგიის ლექსიკონის გასრულება და გამოცემა, რომლის შექმნასაც მან ათეული წლები მოანდომა.

ბატონი გიორგი შესანიშნავი პიროვნება გახლდათ. მას ღრმა მოხეცებულობამდე, სიცოცხლის ბოლომდე, არ გაუწყვეტია კავშირი საყვარელ საქმესთან. ამ დღეებში რესპუბლიკის სახალხო განათლების ცენტრალური სპორტული სკოლის თანამშრომლებმა მოგონება მოგვაწოდეს. „დილით სამსახურში მოსვლისთანავე დინჯად ჩამოუვლიდა ოთახებს, მამაშვილურად მოიკითხავდა თითოეულ თანამშრომელს... შექება ძუნწი იცოდა ამ ჩვეულებრივად ენამჭევრმა კაცმა. ორიოდ მოწონებას სიტყვას გეტყოდა და თავს ბედნიერ ადამიანად მიიჩნევდი, რადგან სიტყვის ყადრი იცოდა და სიტყვასაც ნაღდს გეტყოდა...“

ასეთ ადამიანებს მუდამ მადლიერების გრძნობით მოიგონებს შთამომავლობა.

დავუნახოთ გიორგი მერკვილაძის სახელობის პრემია

ჩემი აზრით, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე, მისი სახელი უნდა განვადიდოთ, ამაგი დავუფასოთ იმ სფეროში, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, რომელშიც თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია. ამიტომ მეც მხარს ვუჭერ იდეას, თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირს ჩვენი გამოჩენილი მოჭადრაკის ნონა გაფრინდაშვილის სახელი დაერქვას.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ პირადად ჩემი, როგორც ფიზკულტურის მასწავლებლის, მოსაზრება — დაწესდეს გიორგი მერკვილაძის სახელობის პრემია.

ეს პრემია უნდა მიენიჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომის, სახელმძღვანელოსა თუ მეცნიერული ხასიათის წიგნისა თუ გამოკვლევის ავტორს ან ავტორთა ჯგუფს.

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის გიორგი მერკვილაძეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში და საერთოდ ფიზიკური კულტურის და სპორტის სფეროში.

პრემიის დაწესება ხელს შეუწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სასწავლო სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მომრავლებას, რომელთა ნაკლებობასაც ახლა ასე განვიცდით, ამასთან, ამ პრემიის დაწესება გიორგი მერკვილაძის სახელის აღიარებაც იქნება.

ლევან ფილიშვილი,
თბილისის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელ-მეთოდისტი.

გარდაქმნა და საქმე

ზრუნავენ მშრომელთა ჯანმრთელობისათვის

1984 წლამდე ბათუმის ზღვისპირა კულტურისა და დასვენების პარკის დასაწყისში, „დინამოს“ სტადიონთან იდგა ერთი მოძველებული ერთსართულიანი შენობა, რომელსაც ამშვენებდა აბრა წარწერით: „ბათუმის ზღვის აბაზანები“. დაწესებულება, ცხადია, საჭირო გახლდათ, მასზე მოთხოვნილებაც ძალზე დიდი იყო. მაგრამ მცირე გაჭტარუნარიანობის გახლდათ და ჭის ადგილზე აღიმართა საკუროორტო პოლიკლინიკის თანამედროვე ორსართულიანი შენობა...

პოლიკლინიკის სახელწოდება თავისთავად განსაზღვრავს მის პროფილს — იგი ემსახურება დამსვენებლებსაც და ადგილობრივ მოსახლეობასაც.

პოლიკლინიკის შესასვლელში გამოკრულია პრეისკურანტი, რომელზეც 22 სახის მომსახურების ფასებია აღნუსხული (პოლიკლინიკა ფასიანია). მათგან ოთხმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ესენია: სამკურნალო ფიზკულტურა — ჯგუფური (5 კაცი), სამკურნალო ფიზკულტურა — ინდივიდუალური, რიტმული ტანვარჯიში და სუნთქვითი ტანვარჯიში. სწორედ მათზე გამოველაპარაკეთ პოლიკლინიკის მთავარ ექიმს სულიკო გოგიტიძეს.

— ეს ოთხი პუნქტი, ალბათ, იმიტომ შეარჩიეთ, რომ სპორტული გაზეთისათვის ამზადებთ წერილს, — გვითხრა მთავარმა ექიმმა და განაგრძო, — მაგრამ ასეც რომ იყოს, რატომ გამორიცხეთ ფიზიოპროცედურები, სამკურნალო შხაპები, წყალქვეშა მასაჟი? განა სამკურნალო ფიზკულტურა გამორიცხავს ამ სამედიცინო პროცედურებს? ან კიდევ — წყალქვეშა გაჭიმვა. ხერხემალდაზიანებულთ ხშირ შემთხვევაში ძალზე რგებთ ამ სახის მკურნალობა და სხვებთან ერთად, ბევრი სპორტსმენიც განკურნებულა. ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტი, კლინიკო-ბიოქიმიური ლაბორატორია, სხვადასხვა სახის აბაზანები... ეს ყველაფერი ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურშია და ჩვენი მუშაკები ძალღონეს არ იშურებენ, ყველა კმაყოფილი რომ ჰყავდეთ..

სამწუხაროდ, ფიზკულტურის კაბინეტი გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ეს არის 25 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი, სადაც დგას სხვადასხვა ტრენაჟორი. ჭქვეა შვედური კედელი, ჰანტელები, ესპანდერი, პიანინო, ტახტები, მაგიდა.. ასე რომ, თავადაც ხედავთ, რა სივიწროვეა.

მერე მთავარმა ექიმმა გაგვაცნო ფიზკულტურის ინსტრუქტორი ლეილა კაკიაშვილი, რომელსაც უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს.

● რას ნიშნავს ჯგუფური და ინდივიდუალური სამკურნალო ფიზკულტურა?

— ვეკითხებით კაკიაშვილს.

— ჯგუფურში 5 კაცი გაერთიანებული, ისინი, ვისაც მკურნალი ექიმისაგან ერთნაირი ფიზიკური დატვირთვა აქვთ დანიშნული და ყოველ მათგანი თითო სეანსზე 35 კაპიკს იხდის. რაც შეეხება ინდივიდუალურს, ეს გახლავთ იმ კატეგორიის ავადმყოფი, რომელთანაც მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობაა დასაშვები. იგი ყოველ სეანსში 1 მანეთსა და 75 კაპიკს იხდის.

● თქვენ დამსვენებლებსაც მკურნალობთ, არა? — „კვლავ მთავარ ექიმს ვეკითხებით.

— რა თქმა უნდა. ყოველ მათგანს შეუძლია ისარგებლოს ერთჯერადი ტალონით ან 24-დღიანი საგზურით.

● კიდევ ერთი კითხვა: თქვენ არა გაქვთ სამკურნალო ფიზკულტურისათვის სათანადო საშუალებები, მაგრამ ირგვლივ საამისოდ მდიდარი ბუნებრივი პირობებია — პარკი: სპორტული ბაზებით, ტრენაჟორებით პლაჟითა და ზღვით. იყენებთ მათ?

— რა თქმა უნდა, ვიყენებთ. ჩვენ ავადმყოფებს, რომლებიც ერთჯერადი ტალონებით სარგებლობენ, ვუნიშნავთ სხვადასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშებს პოლიკლინიკის გარეთ, მაგრამ კონტროლს ვერ ვუწევთ.. საამისოდ უმჯობესია ფიზკულტურის დისპანსერს მიმართონ. ისე კი, თუ ვინმეს სურს გაიზომოს სისხლის არტერიული წნევა, ან ვთქვათ, ელექტროკარდიოგრამის გადაღება უნდა, გადაიხდის სათანადო საფასურს და..

— ● ამ მიზნით შეუძლიათ მოვიდნენ თქვენთან, ვთქვათ, ისინიც, ბათუმელებიც, ყოველ დილით რომ ვარჯიშობენ აქვე პარკში?

— რა თქმა უნდა. მათ ყურადღებას არ ვაკლებთ.

— ● ზემოთ რიტმული ტანვარჯიში და სუნთქვითი ვარჯიში ვახსენეთ...

— დასაწყისში რიტმული ტანვარჯიშის მსურველები მრავლად გვყავდა — ქალებიც და კაცებიც. მეცადინეობას ღია ცის ქვეშ, სუფთა ჰაერზე ვუტარებდით. ზამთარში საამისო პირობები არა გვაქვს და... თითოოროლა მსურველიღა შემოგვრჩა. ამდენად, ჩვენთვის, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დაწესებულებისთვის, ასეთი სიტუაცია ნრარენტაბელური აღმოჩნდა. რაც შეეხება სუნთქვით ვარჯიშს, ამ მეთოდით მკურნალობის ხელმძღვანელი ანატოლი კოროლიოვი ერთი წლით ლენინგრადში მიავლინეს და ჯერჯერობით აქაც გვეშლება ხელი..

● სამკურნალო ფიზკულტურისთვის პირობების გასაუმჯობესებლად . მომავლისთვის -თუ გაქვთ რაიმე პერსპექტიული გეგმა?

— დასასრულს უახლოვდება პანსიონატ „ბათუმის“ რეკონსტრუქცია მშენებლობა. იქ გვაძლევენ საკმაო ფართობს, სადაც მოვაწყობთ ერცელ, თანამედროვე სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტს, უფრო სწორად, იქ გვექნება ჯანმრთელობის ცენტრი. .ცხადია, ყველა პირობა გვექნება ნორმალური მუშაობისთვის. გვსურს დავნერგოთ ჩინური სამკურნალო ფიზკულტურაც ამ ქვეყნის ჭიდაობის სახეობათა გამოყენებითაც კი. მაშინ დამსვენებლებიც და ადგილობრივი მოსახლეობაც უფრო კმაყოფილი გვეყოლება.

საკურორტო პოლიკლინიკის მომსახურებით, მისი პაციენტები, არც ახლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ამის დასტურია შთაბეჭდილებათა წიგნში გაკეთებული ჩანაწერებიც.

„63 წლისა ვარ, — წერს თბილისელი ეთერ კაკაბაძე. — .აქ ისე „შემაკეთეს“, რომ ჯანმრთელობის განსამტკიცებლად ფიზკულტურით კი არა, სპორტითაც შემიძლია ვისარგებლო. მადლობა ყველას“.

მადლიერები არიან მომსახურებით ურალელი ვ. პროკოფიევი, ბურმანსკელი ი. მატვეევი, ჩიტელი ვ. აკიმოვა, სამტრედიელი ნ. ტკაჩენკო, ნორილსკელი რ. ბლოტკო, ახალშენელი ი. ბექირიშვილი და ბევრი სხვა.

● ● კონკრეტულად ვის ემადლიერებიან ეს ადამიანები? — ვეკითხებით ქალბატონ სულიკოს.

— ესენი არიან: წყალქვეშა მასაჟის მედდა გულნარა ჯაიანი, სამკურნალო შხაპებიდან — ლალი კუნჭულია და ლიანა ცინცაძე, აბაზანების მედდები — ანტონინა აფხაზავა და გურანდა ფუტკარაძე, სანიტრები — გულიკო სირაძე, ლამარა სანიაკიანი და ზაირა ჩანტლაძე.

ლევან ქავჭარაძე,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

ბათუმი.

პირველ ეტაპს გალმა უმასპინძლა

ახლახან გალელები საინტერესო სპორტული ასპარეზობის მოწმენი გახდნენ. გუდაურის სანახებში (ზღვისპირეთის დასახლება) საქართველოს დოსააფის მოტოსპორტსმენთა ნაკრები გუნდები რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ასპარეზობდნენ.

დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სპორტულ ღონისძიებათა გეგმით სამოტოციკლეტო სპორტში რესპუბლიკური პირველობა ტარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპის მასპინძლობა წილად ხვდა გალის რაიონს, ასპარეზობაში 9 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კოლექტივებს შორის გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, მეორე — ქ. რუსთავის, ხოლო მესამე — თბილისის საქალაქო კომიტეტის სპორტსმენთა ნაკრებმა კოლექტივებმა.

ფიზკულტურული კოლექტივების ასპარეზობაზე პირველი ადგილი არავის დაუთმეს რუსთავის სპორტულ-ტექნიკურმა სკოლის გუნდმა, მეორეზე —სოხუმის „სამხრეთის“, ხოლო მესამეზე რუსთავის ავტოსკოლის სპორტსმენები გავიდნენ.

125 კბ სმ ძრავიანი კლასის მოტოციკლეტებით ინდივიდუალურ ჩათვლაში ჭაბუკებს შორის პირველი ადგილი დაიკავა რუსთავის სპორტულ-ტექნიკური სკოლის წარმომადგენლებმა ი. სარიშვილმა, მეორე — თელავის ავტოსკოლის კურსანტმა ი. იორამაშვილმა, ხოლო მესამე — ი. კალჩენკომ (რუსთავი).

მოზარდ ჭაბუკთაგან ამავე კლასში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირველი იყო ი. ბუკარევი (სოხუმის „სამხრეთი“), მეორე — ს. ბაბასიევი (რუსთავი), მესამე — ი. სარიშვილი (თბილისი).

გოგონათა შორის ამ კლასში პირველი ადგილი დაიკავა გ. ლაშკოვამ (რუსთავი), მეორე — შ. ღვინიაძემ (სამტრედია), ხოლო მესამე — ვ. მარინაშვილმა (თბილისი).

ვაჟთა შორის 125 კბ სმ ძრავიანი მანქანების კლასში პირველი იყო ვლ. ჩუვაშევი (სოხუმი, „სამხრეთი“), მეორე — გ. აბელაშვილი (რუსთავი), მესამე — გ. შაფთავა (ქუთაისის სპორტულ-ტექნიკური სკოლა).

250 კბ სმ კლასში (ვაჟები) პირველ ადგილს დაეუფლა ო. კლემენტიევი (რუსთავი), მეორეს — გ. კიულიანი (სოხუმის გაერთიანებული ტექნიკური სკოლა), მესამეს — სოხუმის სპორტულ-ტექნიკური კლუბის „სამხრეთის“ წარმომადგენელი ნ. ბუკარევი.

350 კბ სმ კლასში ვაჟთა შორის პირველი იყო სამტრედიელი ვ. სიტნიკი, მეორე — ი. რისუხინი (რუსთავი). მესამე — ფრ. ოჩიგავა (ქუთაისი).

მეორე ეტაპის შეჯიბრება მაისში თბილისში გაიმართება.

კორნელი კაკაჩია.

ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ზუგდიელი მძლეოსანი ხვდება საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში, ამას, მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მასობრივი შეჯიბრებები, განსაკუთრებით ხშირად იმართება კროსები სხვადასხვა მანძილზე. ამ სურათზე ხედავთ ერთ-ერთ მასობრივ ასპარეზობას, რომელიც ქალაქის № 2 სკოლის კოლექტივმა ჩაატარა. მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სხვადასხვა დისტანციებზე, რომელთა სიგრძე 300-დან 1000 მეტრს აღწევდა.

ნელი ფარცვანია,
ფიზკულტურის მასწავლებელი.
ვ. ტუტოვის ფოტო.

ITALIA-90

მსოფლიო ჩემპიონატის გზებზე

გასულ ოთხშაბათს გაიმართა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ევროპის ზონის ყველა შესარჩევ ჯგუფში.

I ჯგუფი

ჯგუფში შედგა ორი მატჩი. ბულგარელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე სოფიაში ანგარიშით 0:2 წააგეს დანიის გუნდთან. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა პოესენმა, ხოლო მატჩის დასასრულს ბ. ლაუდრუპმა მეორე ბურთი გაიტანა.

ათენში ერთმანეთს შეხვდნენ საბერძნეთისა და რუმინეთის გუნდები. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

ბათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	3	2	1	0	6-1	5
დანია	3	1	2	0	4-2	4
საბერძნეთი	3	0	2	1	1-4	2
ბულგარეთი	3	0	1	2	2-6	1

II ჯგუფი

ლონდონის „უემბლის" სტადიონზე ინგლისელმა ფეხბურთელებმა ძიიღეს ალბანეთის ნაკრები. მასპინძლები ამ მატჩს სპორტული თვალსაზრისით ისე არ მოელოდნენ, როგორც იმის შიშით, რომ არ გამეორებულიყო შეფილდის „ჰილსბროს" სტადიონზე მომხდარი ტრაგიკული ამბები. მაგრამ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ტრიბუნებზე სრული წესრიგი სუფევდა, ინგლისელებმა სულ იოლად სძლიეს სუსტ მეტოქეს — 5:0. ბურთები გაიტანეს ბერდსლიმ (2), ლინეკერმა, უოდლმა და გესკონმა.

ინგლისი	3	2	1	0	7-0	5
შვეიცია	2	1	1	0	2-1	3
პოლონეთი	1	1	0	0	1-0	2
ალბანეთი	4	0	0	4	1-10	0

III ჯგუფი

საკვალიფიკაციო ჯგუფის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი შედგა კიევში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელებმა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი შესარჩევ ჯგუფში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომაც სავარაუდო იყო, რომ იგი კიევში ყველაფერს იღონებდა წარმატებისთვის, მაგრამ გდრ-ის ნაკრები კვლავინდებურად მძიმე კრიზისის პერიოდშია, ამიტომაც ჯეროვნული წინააღმდეგობა ვერ გაუწია მეტოქეს და თამაშის ბედი არსებითად პირველივე ტაიმში გადაწყდა, როცა დობროვოლსკიმ, ლიტოვჩენკომ და პროტასოვმა 3 უპასუხო ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში. შესვენების შემდეგ, როცა საქმე უკვე მოთავებული იყო, ბრძოლის სიმწვავემ იკლო და ეს ანგარიში 3:0 საბჭოთა ფეხბურთელთა სასარგებლოდ ბოლომდე უცვლელი დარჩა.

სსრ კავშირის ნაკრებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: დასაევი, ლუჟნი, გორლუკოვიჩი, კუზნეცოვი, ალეინიკოვი (კულკოვი), რაცი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, დობროვოლსკი (ი. სავიჩევი).

სსრ კავშირი	3	2	1	0	6-1	5
თურქეთი	4	2	1	1	8-5	5
ავსტრია	2	1	0	1	3-4	2
ისლანდია	3	0	2	1	2-4	2
გდრ	4	1	0	3	3-8	2

IV ჯგუფი

საერთაშორისო ფეხბურთის უყურადღების ცენტრში იყო მატჩი როტერდამში ჰოლანდიისა და გერმანიის ფედერაციული ნაკრების გუნდებს შორის. მართალია, ეს გუნდები თავიანთ ჯგუფში საგრძნობლად დასცილდნენ მეტოქეებს, მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ამ საკვალიფიკაციო ჯგუფიდან გადის მხოლოდ გამარჯვებული, მხოლოდ ის, ვინც პირველ ადგილს დაიკავებს, ვინაიდან მონაწილე გუნდების რაოდენობა აქ მხოლოდ ოთხია. ახლავე ცხადია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვერ მოხვდება ან ჰოლანდიის, ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი. სწორედ ამიტომ აქ განსაკუთრებული დაძაბულობაა შექმნილი.

ჰოლანდიელებს ამ მატჩში ტრავმის გამო აკლდათ წამყვანი ფეხბურთელები გულიტი, ვან ბრეკელენი და ვუტერსი, რამაც შემადგენლობაში მნიშვნელოვანი კორექტივები გამოიწვია. ამ მეტად მნიშვნელოვან თამაშს დასავლეთგერმანელები თითქმის ბოლო წუთებამდე იგებდნენ (გოლი 68-ე წუთზე გაიტანა რიდლმა), მაგრამ ჰოლანდიელები იხსნა ვან ბასტენმა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე შეძლო საპასუხო გოლის გატანა.

გფრ	3	1	2	0	5-1	4
ჰოლანდია	3	1	2	0	2-1	4
უელსი	2	0	1	1	2-3	1
ფინეთი	2	0	1	1	2-6	1

V ჯგუფი

შოტლანდიელებმა თავიანთ მინდორზე გლასგოში ჯგუფის აუტსაიდერი კიპროსის გუნდი მიიღეს და მხოლოდ გაჭირვებით შეძლეს გამარჯვების მოპოვება 2:1. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა შოტლანდიელმა ჯონსტონმა, შესვენების შემდეგ საპასუხო ბურთი ნიკოლაუმ გაიტანა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო მაკკოისტმა საბოლოო გოლის გატანა — 2:1.

შოტლანდია	5	4	1	0	10-5	9
იუგოსლავია	3	2	1	0	8-3	5
საფრანგეთი	4	1	1	2	4-6	3
ნორვეგია	3	1	0	2	4-3	2
კიპროსი	5	0	1	4	4-13	1

VI ჯგუფი

პირველი მარცხი განიცადეს ჯგუფის ლიდერებმა ესპანელმა ფეხბურთელებმა და პირიქით, ირლანდიის ნაკრებმა დუბლინში პირველი გამარჯვება მოიპოვა, გარდა ამისა, ირლანდიელებმა თავიანთ აქტივში პირველი გატანილი გოლი ჩაიწერეს: სტეპლტონმა მე-16 წუთზე ძლიერად დაარტყა ესპანელთა კარში ბურთი ჰოხვდა მიჩელს და ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

ამ ჯგუფის სხვა წარმომადგენლების მალტისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების გამარჯვებით, ორივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანეს კლარკმა და ონეილმა.

ესპანეთი	6	5	0	1	14-1	10
უნგრეთი	4	1	3	0	4-3	5
ჩრ. ირლანდია	6	2	1	3	5-7	5
ირლანდია	4	1	2	1	1-2	4
მალტა	6	0	2	4	3-14	2

VII ჯგუფი

პორტუგალიისა და შვეიცარიის ფეხბურთელთა შეხვედრა, რომელიც პირველთა მინდორზე შედგა, დამთავრდა პორტუგალიელთა გამარჯვებით — 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ჟოაო პინტუმ, როსმა და ტენეირმა, ხოლო სტუმართაგან — ზუფრიმ.

პორტუგალია	3	2	1	0	5-2	5
ბელგია	3	1	2	0	2-1	4
ჩეხოსლოვაკია	2	1	1	0	2-0	3
შვეიცარია	3	1	0	2	5-5	2
ლუქსემბურგი	3	0	0	3	1-7	0

მიეძღვნა გ. ანთაძის ხსოვნას

ხაბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მატიანეში, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ბათუმის „დინამოს". მადლიერი ბათუმელები არ ივიწყებენ ამაგდარ მწვრთნელსა და სანიმუშო მოქალაქეს, პატივს მიაგებენ მის ხსოვნას. ამის დასტურია ისიც, რომ სწორედ ბათუმში იმართება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი მისი სახელობის პრიზზე. წლევანდელი გათამაშება რიგით მეორე იყო. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი და მეორე ნაკრებები, უზბეკეთის, დონბასის „ანტრაციტი" და ბათუმის „დინამო". ვიდრე ტურნირის შედეგებზე მოგითხრობდეთ, მინდა მონაწილე კოლექტივებიდან ერთი დონბასის „ანტრაციტი" წარმოგიდგინოთ. მეშახტეთა ქალაქ დონბასში ფუნქციონირებს ძველადადასაზრდელ ბავშვთა სახლი. მისი ბინადარნი სწავლასთან ერთად შრომით საქმიანობასაც ეწევიან, მეცადინეობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. „ანტრაციტი" სწორედ ამ სახლის გუნდია. ნორჩები ბათუმში ტურნირზე საკუთარი ძალებით გამომუშავებული ფულით ჩამოვიდნენ და, მერე და რა რომ ისინი ყველა მეტოქესთან დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, მთავარი ისაა, რომ ნორჩმა ფეხბურთელებმა პირველად მოსინჯეს ძალები მსგავს ტურნირში და საგაზაფხულო არდადეგების დღეები ზღვისპირა ქალაქში გაატარეს, სადაც ბევრი ახალი მეგობარიც შეიძინეს.

პირველ ტურში უყურადღების ცენტრში იყო ჩვენი რესპუბლიკის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრა. ეს მატჩი მეორე ნაკრებმა უფრო მეტი შეტევითა და აღმავლობით ჩაატარა და გიმარჯვა კიდევ 1—2:0. შემდეგ მან დაამარცხა „ტორპედო" უზბეკეთი (2:0) და ბათუმის „დინამოსთან" ფრედ 0:0 დაამთავრა შეხვედრა. მარცხი არ უგემიათ ბათუმელ ფეხბურთელებსაც. ამიტომ გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათ შეხვედრას უზბეკ თანატოლებთან. დინამოელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს და ისიც 4 ბურთის უპირატესობით. მოხდა კი პირიქით, მინიმალური ანგარიშით (1:0) გაიმარჯვეს უზბეკებმა და მეორე ადგილზე სწორედ ისინი გავიდნენ, მესამე ადგილი ბათუმელ ფეხბურთელებს ხვდათ. გ. ანთაძის სახელობის საპატიო პრიზი კი საქართველოს მეორე ნაკრებმა მოიპოვა.

ლევან ჟვანია.
„ლელოს" ხაკ. კორ.
ბათუმი.

გმირის სახელობისა

ლესელიძეში გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირ, გენერალ კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისის, აზოვის, ენგელსის, როსტოვის, გორკის, ხარკოვის, მოსკოვის, გაგრის, ბიჭვინთის, ლესელიძის, თბილისის — „ავაზას" და „ნორჩი დინამოელის" 1976 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდები. მოასპარეზე კოლექტივები ორ ქვეჯგუფად დაყვეს. ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ხარკოვისა და თბილისის „ავაზას" გუნდებმა, აგრეთვე „ნორჩი დინამოელის" და ქუთაისის სპორტსკოლის კოლექტივებმა. საინტერესო დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა ნახევარფინალები. „ავაზამ" სძლია ქუთაისელ თანატოლებს — 1:0, „ნორჩმა დინამოელმა" დაამარცხა ხარკოვის გუნდი — 2:1. „ნორჩი დინამოელისა" და „ავაზას" ფინალური ორთაბრძოლა „ავაზას" გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. გამარჯვებულთა გუნდს წვრთნის როლად კიზირია (სკოლის დირექტორი მიხეილ მესხი).

დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ქიურომ გამარჯვებულთა გუნდის წევრი ლ. ცქიტიშვილი მიიჩნია..

სურათზე: კონსტანტინე ლესელიძის პრიზის მფლობელი თბილისის „ავაზას" გუნდი.

მისაბაძი თანადგომა

ამას წინათ თბილისის სტუდქალაქის სტადიონზე ჩატარდა 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის ყოფილი დირექტორის ვ. ნასარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ფეხბურთში (1976-77 წლებში დაბადებულთა შორის).

ტურნირში მონაწილეობდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", ერევნის „არარატი", გორკისა და სოჭის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლები და თბილისის 35-ე სკოლის გუნდი.

კარგად ჩაატარეს მთელი ასპარეზობა 35-ე სკოლელებმა, რომლებმაც დაუმარცხებლად განვლეს მთელი ციკლი და პირველი ადგილი დაისაკუთრეს (გუნდს წვრთნიან ო. შენგელია და ო. გიგოლაშვილი). მეორე ადგილი წილად ხვდა „დნეპრს", ხოლო მესამე — ერევნელ ფეხბურთელებს.

35-ე სკოლის გუნდში თავი გამოიჩინეს რუხაძემ, ირემაშვილმა, კობესაშვილმა, ბროძელმა, ვარდანაშვილმა, მაზიაშვილმა, ხაბულიანმა. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა დ. პეტრიაშვილს (10 გატანილი ბურთი).

აღსანიშნავია სტუდქალაქის ხელმძღვანელობის თანადგომა, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო სტადიონი ნორჩ ფეხბურთელებს და ბრუნვას არ აკლებდა ჩამოსულ სტუმრებს.

თ. თვალჭრელიძე.
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული 35-ე სკოლის გუნდი.

გულმოწყალება

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა დაადგინა ქალაქ შეფილდის „ჰილსბოროს" სტადიონზე მომხდარი უბედურების მსხვერპლთა ოჯახებს დასახმარებლად გაიღოს 120 ათასი ფუნტი.

დათვალიერება-კონკურსის შედეგები

შეჯამდა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის საფეხბურთო სკოლების 1988 წლის დათვალიერება-კონკურსის შედეგები. ფეხბურთელთა მომზადება, სსრ კავშირის ნაკრები და ოსტატთა გუნდებისთვის აღსაზრდელთა მოპარადება, რომლებმაც თავი გამოჩინეს საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებზე — აი, ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლების ეფექტური მოღვაწეობის მთავარი კრიტერიუმი.

საუკეთესო ათეულში შეიდნენ შემდეგი სკოლები:

1. 35-ე სკოლა (თბილისი) — 3085 ქულა
2. „ნეფთჩი" (ბაქო) — 2650 ქულა
3. ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლა № 2. ახალგ. საფეხბ. სკოლა (მოსკოვი) — 2650 ქულა
4. „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — 1710 ქულა
5. „მეტალისტი" (ხარკოვი) — 1670 ქულა
6. „სპარტაკი" (მოსკოვი) — 1340 ქულა
7. „ტორპედო" (მოსკოვი) — 1260 ქულა
8. „ნისტრუ" (კიშინიოვი) — 1180 ქულა
9. „სპენა" (მოსკოვი) — 1085 ქულა
10. ტირასპოლის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლა — 1085 ქულა.

I ლიგა

ბუშინ ბათუმში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VI ტურის შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსა" და ლვოვის ასკ „კარპატის" შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1 (ბურთი ბათუმელთაგან გაიტანა ქვანიამ).

27 აპრილს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VI ტურის შეხვედრები. ამ ტურში ჩვენი რესპუბლიკის გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ. სოხუმის „დინამომ" ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად მან დიდი ანგარიშით — 4:0 სძლია თბილისის ოლიმპიური მომზადების ცენტრის გუნდს. ხობის „კოლხეთისა" და რუსთავის „მეტალურგის" საინტერესო ორთაბრძოლა

II ლიგა

ფრედ 2:2 დამთავრდა.

მიმდინარე გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „შევარდენმა", მან თავის მინდორზე დაამარცხა ვოლგოდონსკის „ატომშმში" — 3:1, სამტრედიის „ლოკომოტივმა" მოუგო ფოთის „კოლხეთს" — 2:1, გორში „დინამ" ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა მახარაძის „მერცხალთან"

აღვირახსნილები...

არც კი ვიცი რა შეიძლება ვუწოდო იმას, რაც მოსკოვის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ მატჩის შემდეგ ხდებოდა კულისებსმიღმა და სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ შესასვლელთან.

თავის კულმინაციურ წერტილს ამ ავბედით მატჩში ვნებათაღელვამ მაშინ მიაღწია, როცა მოსკოველთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. თავიდან ნუ დავიწყებთ იმაზე დავას, მართალი იყო თუ არა მსაჯი. საბოლოოდ იგი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ პირველ მატჩისშემდგომ წუთებში სპეციალისტთა აზრიც კი განსხვავებული იყო.

როგორ იქცეოდა ამ სიტუაციაში ადამიანის სახედაკარგული ხალხი? გულისტკივილით მინდა მოგითხროთ იმ ამაზრზენი სცენების შესახებ, რომლის მოწმეც, საბედნიეროდ, არ გახდა 34 ათასი მაყურებელი.

მატჩი დამთავრდა. მსაჯები და ფეხბურთელები ტრიბუნების ქვეშ მდებარე ოთახებისკენ გაეშურნენ. სწორედ აქ რამდენიმე მოსკოველმა ფეხბურთელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრ გ. სეფიაშვილს. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, დაუყოვნებლივ, მით უმეტეს, რომ მოწმე ბევრი იყო, განცხადებით მივმართავდი სახალხო სასამართლოს. ვფიქრობ, რომ სწორედ მსაჯის ასეთი აქცია გამოიწვევდა მწვავე რეზონანსსა და შესაფერის შეფასებას.

მეორე სცენა გუნდებისა და მსაჯების გასახდელებთან გაიმართა. შენობის ამ ნაწილში შესვლას წითელსამკლაურიანი მორიგეები აკონტროლებენ, თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს ადვირახსნილებისთვის? აქ, ვიწრო დერეფანში, დებოში ატეხა რესპექტაბელური გარეგნობის მამაკაცმა. კედლები ზანზარებდა ლანძღვისა და ხმამაღალი მტკაცებისგან, რომ მსაჯები იყიდებიან, ათასობით მანეთ ქრთამს იღებენ. მაშინ, როდესაც ეს მამაკაცი სამსაჯო ოთახში შეეჭრას ლამობდა, მორიგემ გაიჩერა. „ვინ ბრძანდებით?“ „მე დირექტორის მოადგილე ვარ!“. რისი დირექტორისა — აბსოლუტურად გაუგებარია. როდესაც მორიგემ, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა „დირექტორის მოადგილის“ აგრესიულობა, განაცხადა, რომ: „თქვენ უსაფუძვლოდ ადანაშაულებთ მსაჯს მეკრთამეობაში, ეს ესმით აქ დამსწრეთ და მე თქვენ პასუხისგებაში მიგიყვანთ“, თავდამსხმელმა უკან დაიხია: „მეც ხომ მაქვს ჩემი მოსაზრების გამოთქმის უფლებაო?“

შემდეგი სცენა კომპლექსის სასამსახურო შესასვლელთან მოხდა. კიეველებს თვითმფრინავზე აგვიანდებოდათ. ავტობუსი კარებიდან სულ რამდენიმე მეტრის მოშორებით იდგა და ფეხბურთელებს აგზნებული ბრბოს წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. პერსონალური და განზოგადოებული ლანძღვა-გინების კორიანტელი ყოველი ახალი ფეხბურთელის გამოჩენას თან ახლდა. უცებ, ერთმა აღვირახსნილმა თავისი თანამზრახველის ზურგის უკნიდან წიხლი ჩასცხო კიეველ ა. მიხაილიჩენკოს.

თავდაპირველად გავშრი, შემდეგ მეგობართან ერთად გემოვეკიდე ხულიგანს, მაგრამ დაჭერა ვერ შევძელით, თუმცა მისი სახე ცხოვრებაში არ დამავიწყდება. გაბედავდა კი ეს „ჯიგელი“ პირისპირ შებმოდა ოლიმპიურ ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს?

და უკანასკნელი სცენა. კიეველთა გუნდის ავტობუსს გზა გადაუკეტა მეორე ავტობუსმა, რომელსაც მოსკოვის ოლქის ნომრები ჰქონდა. მამაკაცები და მოზარდები თავიანთი ავტობუსისკენ იწევდნენ, მძღოლი კი, მიუხედავად გუნდის ადმინისტრატორის თხოვნისა, სამიოდე მეტრით გაეწია მაქანა, უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. მან იმის იმიტირებაც კი გააკეთა, თითქოს ფეხბურთელების ავტობუსს ეტაკებოდა...

მთელი ამ დრამის განმავლობაში არც ერთი მილიციელი არ გამოჩენილა. რატომ? სამართლიანი შეკითხვაა, რადგანაც მოჭარბებული ემოციები „ოლიმპიისკში“ გამართულ სხვა მატჩებსაც ახლავს თან. ერთ-ერთი მაგალითია „სპარტაკისა“ და მინსკის „დინამოს“ შეხვედრა. სხვა შეკითხვებიც წამოიჭრება. რატომ ხდება, რომ ჟურნალისტმა სასამსახურო სათავსოებში თავისუფლად შედიან უცხო პირები, ვისაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც თვით მატჩებთან და არც მათ გაშუქებასთან? რატომ ხდება, რომ ჟურნალისტს, რომელსაც აქვს სსრ კავშირის სპორტსაბჭოს მიერ გაცემული საშვი გრიფით „პრესა“, მწვრთნელებთან და მსაჯებთან სასაუბროდ არ უშვებენ, „დირექტორის მოდგილეები“ კი თავისუფლად შედიან ყველგან? ჟურნალისტი ხომ ათასობით, შეიძლება მილიონობით მკითხველს წარმოადგენს, რომლებიც ზუსტ ინფორმაციას ელიან გამოცემების ფურცლებზე. აქვე მინდა შევნიშნო, რომ „ოლიმპიისკი“ ერთადერთი სპორტული სარბიელია, სადაც პრესის ადგილებზე დღემდე იყიდება ბილეთები. ჟურნალისტებს პრაქტიკულად, არ გააჩნიათ სამუშაო ადგილი.

რატომ ხდება, რომ მატჩის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ბარდება უცხო ხალხი რაოდენობაც? დაბოლოს, რატომ არ ამყარებს წესრიგს ტატალენტს ადმინისტრაცია [illegible] სამსახურებრივ სავალურებში? [illegible] რეალური ხულიგნის ხელყოფისგან? ადმინისტრაციას? მილიციას? გაარკვიეთ, და შექმენით, თუ შეიძლება, პრესისთვის მუშაობის ნორმალური პირობები!

...წინ მთელი საფეხბურთო სეზონია. ბრძოლის პერიპეტიები სიხარულსაც გამოიწვევს, სინანულსაც, კამათსაც. იქნება, ალბათ, პროტესტებიც. ვნებებიც უმაღლეს ზღვარს მიაღწევს. დაე, ასე იყოს, მაგრამ „აღვირახსნილებს“ არც ტრიბუნებზე უნდა ჰქონდეთ გასაქანი და არც სტადიონების კულუარებში. მოდით, დავიცვათ ჩვენი ფეხბურთი მისი არსისთვის სრულიად უცხო, ბოროტი, ფსიქიკაშეცვლილი ადამიანებისგან. ნუ დაგვავიწყდება, რომ „აღვირახსნილების“ სიშმაგე ტრიბუნიდან ქუჩაში გადაინაცვლებს, იქიდან კი ოჯახებში, დაწესებულებებში. ეს კი უკვე სახიფათოა.

ბორის ლევინი,
ჟურნალ „ფიზკულტურა და სპორტის“ მიმომხილველი.

„ფუტბოლ-ჰოკეი“, № 16, 1989 წ.



ფედერაცია იმსჯელებს

როგორც ვიუწყებოდით, კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე სუპერფინალური მატჩი კაუნასის „ჟალგირისსა“ და კიევის „ბუდიველნიკს“ („სტროიტელს“) შორის 26 აპრილს არ ჩატარდა. კიეველებმა გააპროტესტეს მეორე მატჩის შედეგი და ახლა ამ პროტესტს კალათბურთის საკავშირო ფედერაცია განიხილავს.

ამასობაში, 26 აპრილს ალმა-ათაში ერთმანეთს მეორე სუპერფინალური მატჩის მონაწილენი შეხვდნენ, გუნდები, რომლებიც ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძვიან. ადგილობრივმა არმიელებმა მოსკოველ თანაკლუბელებს უმასპინძლეს.

მატჩის პირველი ნახევარი ცსკა-მ მოიგო 5 ქულით — 45:40. ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად მძაფრი იყო და დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 84:81. ალმა-ათელთა შორის საუკეთესო სნაიპერი ვალერი ტიხონენკო გახლდათ — 29 ქულა. ცსკა-ში — ვიქტორ ბერეჟნოი — 18 ქულა.

მოსკოვში საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩი ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა. ისინი მოსკოვის თანაკლუბელებს შეხვდნენ. პირველი შეხვედრა მოსკოვის კალათბურთელებმა მოიგეს — 100:97 (44:48), მეორე — თბილისელებმა — 90:82 (62:49).

• • •

ახალი ინფორმაცია იხილეთ 1-ელ გვერდზე.

ბათამაშების საგოლოო ცხრილი

„ჟალგ.“ (კაუნ.)	44	38	6	82
„ბუდიველნ“. (კ.)	44	35	9	79
ცსკა	44	31	13	75
ასკ (ალმა-ათა)	44	29	15	73
„დინამო“ (მ.)	44	24	20	68
„კალევი“ (ტალ.)	44	21	23	65
„სტატ.“ (ვილნ.)	44	20	24	64
„დინამო“ (თბ.)	44	20	24	64
რტი (მინსკი)	44	16	28	60
„შახტ.“ (დონ.)	44	12	32	56
ვეფ (რიგა)	44	10	34	54
„სპარტ.“ (ლენ.)	44	8	36	52

უპრეცენდენტო შემთხვევა

ბელგრადი. იუგოსლავიის კალათბურთის ისტორიაში ასეთი სკანდალი არ მომხდარა. 45-ე ჩემპიონატის სუპერფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ორი უძლიერესი კლუბი — სპლიტის „იუგოპლასტიკა“ და ბელგრადის „პარტიზანი“. პირველი შეხვედრა დედაქალაქში „იუგოპლასტიკამ“ ქულათა ძნიმალური სხვაობით მოიგო. მძაფრი და უკომპრომისო გამოდგა მეორე მატჩიც სპლიტში. ბრძოლის დამთავრებამდე 28 წამით ადრე, როცა სპლიტელები 5 ქულით იყვნენ წინ, მსაჯობით უმცაოფილო ბელგრადელებმა უარი თქვეს თამაშის გაგრძელებაზე და მოედანი დატოვეს.

ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ამ უპრეცენდენტო შემთხვევის დეტალები და გამარჯვება „იუგოპლასტიკას“ მიაკუთვნა. მაგრამ გადაეცა ჩემპიონის ოქროს მედლები. სპლიტის გუნდი ზედიზედ მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. „იუგოპლასტიკა“ ამავე დროს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელია. რაც შეეხება ბელგრადის „პარტიზანს“, ამ კლუბმა მეორე, არანაკლებ პოპულარული პრიზი — კორაჩის თასი მოიგო. ეს წარმატებები მიგვანიშნებს იმაზე, რომ იუგოსლავიის კალათბურთმა განვლო კრიზისის ხანა და ახლა აღმავლობას განიცდის.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ევროპის მომავალ ჩემპიონატში, რომელიც გაიმართება ზაგრებში ამა წლის 20-26 ივნისს, იუგოსლავიის ნაკრები ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება. გუნდში მოხდა თაობათა ცვლა და საკვანძო ადგილები პერსპექტიულმა ახალგაზრდებმა დაიკავეს. ესენია: ვლადე დავაცი, დინო რაჯა, ხარკო პასპალი, ტონი კუკოჩი და ალექსანდრ ჯორჯიევიჩი. ნაკრების საბოლოო შემადგენლობას მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი უახლოეს მომავალში დასახელებს.

მადრიდის „რეალის“ ორი დამარცხება

ესპანეთის ჩემპიონატის მერვე ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო ესპანეთის საკლუბო კალათბურთის გრანდების „რეალის“ და „ბარსელონას“ შეხვედრა, რომელიც მადრიდში გაიმართა. მიმომხილველთა უმრავლესობა წარმატებას მასპინძლებს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ წარუმატებლობის გაჭიანურებული სერიის შემდეგ „ბარსელონამ“ კვლავ ძლიერად ითამაშა და დაამარცხა მთავარი კონკურენტი — 95:87. „ბარსელონას“ მცველმა კოსტამ წარმატებით გააროვა თავი მეტოქის ლიდერი დრაჟენ პეტროვიჩის (26 ქულა) ნეიტრალიზებას. კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს სვენ ტრუმბომ (15 ქულა, 9-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს), ხუან ანტონიო სან-ეპიფანიომ (15), ანდრე ჰიმენესმა (14), ნორისმა (13), ვაიტერსმა (12). მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ კოლექტიურ თამაშში „ბარსელონა“ აშკარად უკეთესად გამოიყურებოდა, რამაც, მათი აზრით, განაპირობა კიდეც მათი გამარჯვება.

მეცხრე ტურის მთავარი სენსაციაა იყო მადრიდის „რეალის“ დამარცხება ბადალონაში „ჰუვენტუდთან“ — 95:107. დრაჟენ პეტროვიჩის (26 ქულა) კარგი თამაში გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. „ბარსელონამ“ სანეპიფანიოს (28 ქულა) ჩინებული თამაშის წყალობით ძალზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა საკუთარ მოედანზე „კაიარენოდოსთან“ შეხვედრაში — 80:79.

ესპანეთის ჩემპიონატში მრავალხელისუფლებიანობაა. 6-6 გამარჯვება მოიპოვა ერთბაშად სამმა გუნდმა: „ბარსელონამ“, „რეალმა“ და „ჰუვენტუდ ბადალონამ“. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ფინიშის სწორზე უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი.

მერაბ კალანდაძე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ მრავალრიცხოვანი მოყვარული მოთამაშის ინტერესების გათვალისწინებით არაერთ საჭირო ღონისძიებას მიმართა, რათა მათ დროული ინფორმაცია მიეღოთ.

მრავალრიცხოვანი მოყვარულის თხოვნით 1989 წლის 1 მარტიდან ტელევიზიასთან ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება, რათა ყოველი კვირის „მოამბის“ სპორტულ გათამაშებაში გადმოცემული იქნას კვირას დილით, მოსკოვში გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟის მომგებიანი ციფრები.

რეგულარულად, ყოველ კვირაში გაზეთ „ლელოს“ საშუალებით ქვეყნდება „სპორტლოტო 6-45“, „სპორტლოტო 5-36“ და „სპორტპროგნოზის“ მორიგი ტირაჟის უმაღლესი მოგებები ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით. ყოველივე ეს დადებით სტიმულს აძლევს ჩვენს მოყვარულ მოთამაშეებს.

ამის შედეგია, რომ სამმართველოს მისამართით მოდის უამრავი მადლობის წერილი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან.

სამმართველო მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ჩვენს მოყვარულებს კი უსურვებს წარმატებებს და ბედნიერი ბილეთების სიმრავლეს.

სპორტული ლატარიების გათამაშებაში მოგებული დიდი თანხები საქართველოში მ/წლის 1 – კვარტალში

№ № რ/ბ.	მოგებული ბილეთის მფლობელის გვარი, სახელი, მამის სახელი	ქალაქი	მოგებული თანხის ოდენობა.	ლატარიის რომელ სახეობაშია მოგებული.	1989 წ. კალიცა მანქანის ფასიდან ფულადი მეძენის ეფექტა.
1.	სვანაძე ტარიელ გიგის–ძე	ქ.თბილისი	10 005 მანეთი	"სპორტლოტო 5–36" (ათ ჩრაჟიანი ბილეთი).	ვოლგა გაზ–24
2.	ქავთარაძე ლევან დავითის–ძე	ქ.თბილისი	10 000 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07
3.	ფუტიშვილი ტარიელ გიორგის–ძე	საგარეჯო	7,656 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–063
4.	ბერაძე ნოდარ კაპიტონის–ძე	ქ.წყალტუბო	10 000 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07
5.	ფარეხელიძე კახა ვახტანგის–ძე	ქ.თბილისი	10 000 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07
6.	შამიანი ავთანდილ მრეხის–ძე	ქ.თბილისი	10 000 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07
7.	ტუმანიძე ამირან ვიკენტის–ძე	ქ.ქუთაისი	10 000 მანეთი	" სპორტპროგნოზი"	ვაზ – 21–07
8.	სოფალა არჩილ ალექსანდრეს–ძე	ქ.თბილისი	8,404 მანეთი	" სპორტპროგნოზი"	ვაზ – 21–063
9.	არგუნ ალმას ეფრის–ძე	ქ.ბუდაფეშტი	9,037 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–063
10.	ხეცია ვლადიმერ სერგოს–ძე	ქ.გაგრა	9,042 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–063
11.	გაბუნია გიგი ეფეფორის–ძე	ქ.ფოთი	10000 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07
12.	ჯიბინელიძე რეზო ალმასის–ძე	ქ.თბილისი	10000 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07
13.	ნოსაძე ზეთა ალექსანდრეს–ძე	ქ.თბილისი	10150 მანეთი	"სპორტლოტო 5–36"	ვაზ – 21–07

„სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ მოყვარულებს შევახსენებთ

სპორტული ლატარიების სამმართველოში მოყვარულთა მხრიდან პრეტენზიები მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზუსტადაა მითითებული „სპორტლოტოს“ იმ ყუთის ნომერი და ადგილმდებარეობა, რომელშიც ჩაშვებულია ბილეთის „ბვ“ ნაწილი.

ბილეთის შევსებული „ა“ ნაწილი სწორად მოჭერით და შეინახეთ. „ბვ“ ნაწილი გაუცალკევებლად ჩაუშვით „სპორტლოტოს“ ყუთში ზუსტად მითითებულ ვადებში.

მკაცრად დაიცავით თამაშის წესები! დაიხსომეთ, რომ ამ მონაცემების გარეშე პრეტენზიები არ განიხილება!

მოთამაშეთა საყურადღებოდ!

14 მაისს ჩატარდება ლატარია „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ მე-20 ტირაჟი. მასში გათამაშებული იქნება 1988 წლის სარეზერვო ფონდის ნაწილი 250000 მანეთის ოდენობით, მათ რიცხვში: „სპორტლოტო 6-45“-დან 25000 მანეთი, „5-36“-დან — 175000 მანეთი. ლატარია „სპორტპროგნოზში“ — 50000 მანეთი.

გიწვევთ სპორტული ლატარიების მოყვარულებს მონაწილეობა მიიღოთ „სპორტლოტოსა“ და „სპორტპროგნოზის“ მე-20 ტირაჟში, მით უმეტეს, რომ ლატარია „სპორტლოტოსათვის“ ეს იქნება საიუბილეო მე-900 ტირაჟი ლატარიის დაარსებიდან.

კიდევ ერთხელ ათტირაჟიანი ბილეთების შესახებ

„სპორტლოტოს“ ათტირაჟიანი ბილეთების მფლობელებს დამატებით გვინდა განვუმარტოთ, თუ რა შემთხვევაში მონაწილეობს ბილეთი ათ ტირაჟში და რა შემთხვევაში თამაშობს იგი ერთ რომელიმე ტირაჟში.

როდესაც ბილეთის მფლობელს სურს ბილეთმა მონაწილეობა მიიღოს თანმიმდევრობით ათ ტირაჟში, მან უნდა დატოვოს ბილეთის სპეციალურ უჯრაში ჩაწერილი ასო „C“ და დაწეროს იმ ტირაჟის ნომერი, რომლიდანაც იწყებს გათამაშებას ბილეთი.

იმ შემთხვევაში თუ მოყვარულს სურს ბილეთმა გაითამაშოს ერთ რომელიმე ტირაჟში, მაშინ მან უნდა გადახაზოს ასო „C“ და დატოვოს ასო „B“. დებულების თანახმად, თუ ამ დროს ბილეთს წილად ხვდა მოგება, იგი ათმაგად აუნაზღაურდება მფლობელს. დამატებით შეგახსენებთ: თუ ათტირაჟიანი ბილეთის მფლობელმა მოიგო 10 000 მანეთი, მას ეძლევა უფლება ურიგოდ შეიძინოს ავტომანქანა „ვოლგა გაზ-24“.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, საქმიანი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10437